საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>თეა ლეონიძე</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021	
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ბიძინა სტურუა?	
დიახ	არა

17 ივნისი, 2021 წელი

ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად ბიძინა სტურუას კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისადმი წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი პროცედურაში მონაწილეობა მიიღო ბიძინა სტურუამ.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული წერილობითი და საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2021 წლის 28 მაისს, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, შევაფასე პროცედურაში მონაწილე კანდიდატი - ბიძინა სტურუა, რის შედეგადაც მივიჩნიე, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას მივანიჭე 92 ქულა, რაც ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 92%-ს შეადგენს.

საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულების თანახმად, აღნიშნული პროცედურის შემდეგ ეტაპზე გადავიდა 9 კანდიდატი: გიორგი გოგიაშვილი, გოჩა აბუსერიძე, ლევან თევზაძე, ქეთევან მესხიშვილი, გიორგი შავლიაშვილი, რევაზ ნადარაია, ბიძინა სტურუა, ეკა ზარნაძე და ლაშა ქოჩიაშვილი.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, 2021 წლის 17 ივნისს საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა მითითებულ 9 კანდიდატთან დაკავშირებით, მათი საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად, რომლის შედეგად მივიღე გადაწყვეტილება - საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად წარედგინოს ბიძინა სტურუას კანდიდატურა, შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამმა შეადგინა 1109 ქულა და კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამის

მიხედვით გავიდა მეშვიდე ადგილზე. შესაბამისად, ბიძინა სტურუა, კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების გათვალისწინებით, არა მხოლოდ მე შევაფასე სრულად დადებითად და უმაღლესი ქულებით, არამედ - საბჭოს სხვა წევრებმაც, რამაც დამარწმუნა, რომ ბიძინა სტურუა სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

თეა ლეონიძე
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი